ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6517143

ნომერი: AR1965398

თარიღი : 08.05.2023

გაცემის თარიღი : 19.06.2023

გაცნობის თარიღი : 19.06.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, წყალსადენის ქუჩა, N 55დ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი ქამუშაძე პ/ნ 01011013527
- თბილისი კაკაბეთის ქ. N 2ბ ბ. 4

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს. „არკა“ კოდი: 406057822

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 08 მაისს №AR1965398 განცხადებით მომართა ირაკლი ქამუშაძემ და მოითხოვა სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანებით №01.11.04.028.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა საწყობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2021 წლის 24 მაისის №5413319 ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 24 მაისიდან 2023 წლის 24 თებერვლის ჩათვლით კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. შესაბამისად ითხოვს სასაწყობე ფართობად 1553.9 კვ.მ-ის ნაცვლად 1542.5 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 557.6 კვ.მ-ის ნაცვლად 539.4 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 147.4 კვ.მ-ის ნაცვლად 149.4 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 233.7 კვ.მ-ის ნაცვლად 221.8 კვ.მ-ის, საერთო ფართობად 2492.6 კვ.მ-ის ნაცვლად 2453.1 კვ.მ-ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა, ასევე, დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, გეგმებზე ხდება მხოლოდ ფართობების დაზუსტება.

რაც შეეხება სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანებით შეთანხმებულ +4.50 ნიშნულის გეგმაზე „2“ ღერძთან დატანილ სვეტს და კოლონას, სამსახურმა დაადგინა, რომ აღნიშნული სვეტი და კოლონა შეთანხმებულ კონსტრუქციულ პროექტში არ არის გათვალისწინებული. ამასთან, დგინდება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2023 წლის 13 თებერვლის №ბ-10/01230301597-17 ბრძანებით ექსპლუატაციაში მიღებისთვის ვარგისად იქნა აღიარებული №01.11.04.028.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (საწყობი -IV კლასი).

ექსპლუატაციაში მიღების ეტაპზე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათებიდან დგინდება, რომ +4.50 ნიშნულის გეგმაზე „2“ ღერძთან სვეტი და კოლონა არ ფიქსირდება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 2453.1 კვ.მ., სასაწყობე ფართობად 1542.5 კვ.მ., საოფისე ფართობად 539.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 149.4 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 221.8 კვ.მ.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.

3.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

4.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №5383931 ბრძანებასთან ერთად.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7),

კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.